12. შპს - ლომისი 1-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2012 წლის 21 თებერვალსა და 29 თებერვალს დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა №04/18 და №04-22 კორესპონდენცია, რომლის თანახმად მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორებულ იქნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, ივანე ალავიძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, ივანე ალავიძემ, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ლომისი 1-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ლომისი 1-ის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ლომისი 1-ის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

13. შპს - გრაალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების საკლასო ოთახები (6 საკლასო ოთახი) აღჭურვილია 51 ინდივიდუალური მერხითა და შესაბამისი რაოდენობის სკამით. ავტორიზაციით განსაზღვრული კონტიგენტის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ესაჭიროება დამატებით 9 ინდივიდუალური მერხი.

1.2 დაწესებულებას არ გააჩნია სპორტული დარბაზი, სპორტის სახეობად არჩეული აქვს ცურვა, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი, დაწესებულებას ეზოში აქვს ღია საცურაო აუზი, სპორტულ დარბაზად გამოყენებული აქვს სკოლის შესასვლელი ჰოლი, ხოლო მაგიდის ტენისის ინვენტარი (მაგიდა) არ შეესაბამება სტანდარტს.

2012 წლის 21 თებერვალს შპს - გრაალმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-1398) რომლის თანახმადაც, სკოლამ შეიძინა მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა.

1.3 სკოლას აქვს ლაბორატორია, თუმცა ვიზუალური დათვალიერებით არ დასტურდება მისი შესაბამისობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს №572 ბრძანებით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციებთან.

შპს - გრაალის მიერ 2012 წლის 21 და 24 თებერვალს წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (ცენტრში რეგისტრაციის №03-1398; №03-1574), სკოლამ 2012 წლის 20 თებერვალს შპს - „ინსტა-ჯორჯიასთან“ დადო ხელშეკრულება ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების შექმნის თაობაზე. დაწესებულებამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მიღება-ჩაბარების აქტი და ლაბორატორიების აღჭურვილობის ამსახველი ფოტომასალა.

1.4 დაწესებულების ბიბლიოთეკაში არ არის წიგნების ანბანური კატალოგი და მკითხველის ბარათები. წიგნები სრულად არ არის ბიბლიოგრაფიულად დამუშავებული.

შპს - გრაალის მიერ 2012 წლის 21 თებერვალს წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (ცენტრში რეგისტრაციის №03-1398), სკოლამ წარმოადგინა ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება მკითხველთა ბარათებისა და ბიბლიოგრაფიული წესით დამუშავებული წიგნების არსებობა.

1.5 სსსმ მოსწავლეთათვის სკოლას არა აქვს სათანადოდ მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილი.

შპს - გრაალის მიერ 2012 წლის 21 თებერვალს წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (ცენტრში რეგისტრაციის №03-1398), სკოლამ წარმოადგინა ადაპტირებული სველი წერტილის დამადასტურებელი ფოტომასალა.

1.6 სკოლას აქვს ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი 4 კომპიუტერი, აქედან ვიზიტის დროს ერთი იყო დაზიანებული. ვიზიტის დროს ვებგვერდი იყო დამუშავების პროცესში და იმ მომენტისათვის ვერ ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

1.7 სკოლას არა აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შპს - გრაალის მიერ 2012 წლის 21 თებერვალს წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (ცენტრში რეგისტრაციის №03-1398), სკოლამ შეიმუშავა სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.8 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ საკლასო ჟურნალებში, რიგ საგნებში მასწავლებლები არ აწარმოებენ ჟურნალს დროულად, კერძოდ: X, XI და XII კლასებში მათემატიკის მასწავლებელს ოთარ კვარაცხელიას არ აქვს ნაწარმოები ჟურნალი 7 თებერვლიდან 10 თებერვლის ჩათვლით, ლელა იაშვილს საკლასო ჟურნალში გადასწორებული აქვს დაჯამებები, მათემატიკის მასწავლებელს თურმან ოზიაშვილს არ აქვს ნაწარმოები საკლასო ჟურნალი 15 და 17 თებერვალს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ 9 ინდივიდუალურ მერხს უახლოეს მომავალში შეიძენდნენ.

1.6 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლის ვებგვერდი ფუნქციონირებდა. ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს - გრაალის ვებგვერდი ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

1.8 ხარვეზთან დაკავშირებით შპს - გრაალის დირექტორმა აღნიშნა, რომ იმ მასწავლებლებს, რომლებიც არასწორად აწარმოებდნენ სასკოლო ჟურნალებს, გამოუცხადეს საყვედური.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ხარვეზების სრულად გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის 5 დღიანი ვადის განსაზღვრა, რათა დაწესებულებას წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო მონიტორინგის ჯგუფის მიერ ადგილზე ხელახალი გადამოწმება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრაალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - გრაალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 5 დღის ვადა.

14. შპს - ლაშარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების საკლასო ოთახები (12-ოთახი) აღჭურვილია საერთო ჯამში 32 ინდივიდუალური მერხით, 74 ორადგილიანი მერხით და შესაბამისი რაოდენობის სკამით. სკოლას დამატებით ესაჭიროება 37 ინდივიდუალური მერხი.

2012 წლის 22 თებერვალს შპს - ლაშარმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-1438), რომლის თანახმადაც, დაწესებულებამ 2012 წლის 17 თებერვალს ნოდარ გოგიშვილთან დადო შრომითი ხელშეკრულება 40 ინდივიდუალური მერხის შეძენის თაობაზე. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2012 წლის 27 თებერვლამდე.

1.2 სკოლას აქვს ლაბორატორია, რომელიც არ შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს №572 ბრძანებით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციებს.

2012 წლის 22 თებერვალს შპს - ლაშარმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-1438), რომლის თანახმადაც, დაწესებულებამ შპს - „ინსტა-ჯორჯიასთან 2012 წლის 20 თებერვალს დადო ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიებზე ნასყიდობის ხელშეკრულება. შპს - ლაშარმა 2012 წლის 20 თებერვალს გადაიხადა ლაბორატორიების საერთო ღირებულებიდან 8 000 ლარი.

1.3 ბიბლიოთეკას არ აქვს სრულყოფილი ანბანური კატალოგი, მიმდინარეობს მისი დამუშავება. წიგნების ნაწილი არის ნაწილობრივ დამუშავებული ბიბლიოგრაფიულად.

1.4 სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. კერძოდ, არ აქვს პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი.

2012 წლის 22 თებერვალს შპს - ლაშარმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-1438), რომლის თანახმადაც, დაწესებულებამ 2012 წლის 17 თებერვალს ირაკლი წიწვასთან და ნოდარ გოგიშვილთან დადო შრომითი ხელშეკრულებები ადაპტირებული სველი წერტილებისა და პანდუსების დამონტაჟების თაობაზე. ხელშეკრულებებში სამუშაოების დასრულების თარიღად მითითებულია 2012 წლის 28 თებერვალი.

1.5 სკოლას არა აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისა და ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები.

2012 წლის 22 თებერვალს შპს - ლაშარმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-1438), რომლის თანახმადაც, დაწესებულებამ შეიმუშავა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისა და ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.6 სკოლას გააჩნია 4 უსაფრთხოების კამერა. ორი კამერა შიდა პერიმეტრზეა განთავსებული, ხოლო ორი კამერა - გარე პერიმეტრზე. სკოლის შესასვლელში დამონტაჟებული ერთი კამერა არ იყო ჩართული ქსელში. ამასთან არ მიმდინარეობდა 24 საათიანი ვიდეო ჩაწერა. წარმოდგენილი ვიდეომეთვალყურეობის ტექნიკური მონაცემებით არ დასტურდება მათი შესაბამისობა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს N1143 ბრძანებით განსაზღვრულ პარამეტრებთან.

1.7 მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ მატერიალური რესურსის შესყიდვის დამადასტურებელი საფინანსო დოკუმენტები ვერ იქნა წარმოადგენილი.

1.8 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ საკლასო ჟურნალებში, კერძოდ, XII კლასში, მათემატიკის მასწავლებლებს (თემურ შენგელია, თამარ ჯელაძე) მიმდინარე წლის 8 თებერვლიდან, ვიზიტის დროისთვის ჩატარებული ჰქონდათ 7 გაკვეთილი, მოსწავლეები ჰყავდათ შეფასებული ასევე ნაწარმოები იყო გაცდენების აღრიცხვა, მაგრამ საკლასო ჟურნალში არ იყო გაკეთებული მიმდინარე ნიშნების და გაცდენების დაჯამებები. ანალოგიური მდგომარეობაა უცხო ენასა და გეოგრაფიაში. V კლასის ჟურნალში არაა შეტანილი მეორე სემესტრის გაკვეთილების ცხრილი, არაა დაჯამებები საგნებში: მათემატიკა, ჩვენი გარემო და რუსული ენა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მიმდინარეობდა წიგნების ანბანური კატალოგის დამუშავება. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები სრულად იყო დამუშავებული ბიბლიოგრაფიული წესით.

ადაპტირებულ სველ წერტილთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას სსსმ მოსწავლეთათვის დამონტაჟებული ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი. აღნიშნულის დასადასტურებლად ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი ფოტომასალა.

1.6 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - ლაშარმა დადო ნასყიდობის ხელშეკრულება უსაფრთხოების კამერის შეძენის თაობაზე. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მასალების ადგილზე გადამოწმების შედეგად მონიტორინგის ჯგუფის წევრმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ შეძენილი უსაფრთხოების კამერის პარამეტრები შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

1.7 შენიშვნაზე სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლის მატერიალური რესურსის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია გადაცემული იყო აუდიტის სამსახურისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

1.8 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მასწავლებლებს, რომლებიც დარღვევებით აწარმოებდნენ სასკოლო ჟურნალებს, სკოლის დირექტორის მიერ გამოეცხადათ საყვედური.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ხარვეზების სრულად გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის 7 დღიანი ვადის განსაზღვრა, რათა დაწესებულებას წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ხელახალი გადამოწმება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ლაშარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - ლაშარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 7 დღის ვადა.

15. შპს - „ჩალღარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ „სხივში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების საკლასო ოთახები (29 საკლასო ოთახი) აღჭურვილია 12 ინდივიდუალური მერხით, 203 ორადგილიანი მერხით, 12 ოთხადგილიანი და შესაბამისი რაოდენობის სკამით. ვიზიტის დროისათვის დაწესებულებაში ირიცხებოდა 297 მოსწავლე, შესაბამისად მას დამატებით ესაჭიროება 70 ინდივიდუალური მერხი, ხოლო ავტორიზაციით განსაზღვრული მოსწავლეთა კონტიგენტის დასაკმაყოფილებლად - 534 ინდივიდუალური მერხი (მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 761).

1.2 სკოლას აქვს ლაბორატორია, თუმცა ვიზუალური დათვალიერებით არ დასტურდება მისი შესაბამისობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს №572 ბრძანებით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციებთან.

1.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი არაა დამუშავებული ბიბლიოგრაფიულად, არაა სრულყოფილი ანბანური კატალოგი. ინგლისური ენა ისწავლება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ არაგრიფირებული სახელმძღვანელოთი.

1.4 სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის აქვს პანდუსები, თუმცა არ აქვს სათანადოდ მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილი.

1.5 სკოლას გააჩნია 16 (თექვსმეტი) უსაფრთხოების კამერა, აქედან 8 შიდა პერიმეტრზეა განთავსებული, ხოლო 8 გარე პერიმეტრზე. კამერები ჩართულია შიდა ქსელში და მიმდინარეობს ვიდეოჩაწერა, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი ვიდეომეთვალყურეობის კამერების ტექნიკური მახასიათებლები.

1.6 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ საკლასო ჟურნალებში, რიგ შემთხვევებში არ იყო შეტანილი მეორე სემესტრის გაკვეთილების ცხრილი, არ იყო გაკვეთილები მიმდინარე ნიშნებისა და გაცდენების დაჯამებები. არ იყო შენიშვნებზე კლასის დამრიგებლისა და დირექტორის ხელმოწერები. III¹ III² III³ და VI¹ კლასებში გაკვეთილებზე არ იყო საკლასო ჟურნალები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე არსებული მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით გააჩნია საკმარისი რაოდენობის მერხები, ხოლო მერხების გარკვეული ნაწილი დასაწყობებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მერხების რაოდენობისათვის განმსაზღვრელი არ არის მხოლოდ ის, თუ რამდენი მოსწავლე ყავს ამ ეტაპზე დაწესებულებას. იქედან გამომდინარე, რომ მოსწავლეთა რაოდენობა სკოლას განესაზღვრა 761-ით, მას უნდა გააჩნდეს სწორედ ამ რაოდენობის შესაბამისი მატერიალური რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით წარმომადგენელს, მოხდა თუ არა დაწესებულების მიერ ლაბორატორიასთან დაკავშირებული ხარვეზის გამოსწორება. წარმომადგენლის განმარტებით, ამ ეტაპისთვის ვერ მოხერხდა 1.2 შენიშვნის გამოსწორება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული ხარვეზი აღმოფხვრილია, კერძოდ, წიგნები დამუშავებულია ბიბლიოგრაფიულად და არსებობს სრულყოფილი ანბანური კატალოგი. რაც შეეხება ინგლისური ენის სწავლებას არაგრიფირებული სახელმძღვანელოთი, დაწესებულება სამომავლოდ გეგმავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან შესაბამისი ნებართვის აღებას ან სახელმძღვანელოს შეცვლას.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მოცემული ხარვეზი მნიშვნელოვნია. სკოლა ვალდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან შესაბამისი ნებართვის მიღებამდე, შეცვალოს სახელმძღვანელო.

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარვეზი გამოსწორებულია და წარმოადგინა სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილის ამსახველი ფოტო-მასალა. მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელმა, დავით ჭეიშვილმა, დაადასტურა 1.4 შენიშვნის გამოსწორების ფაქტი.

1.5 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლამ დამატებით შეიძინა უსაფრთხოების კამერები, ამასთან ზეპირ მოსმენაზე მოხდა კამერის ტექნიკური პასპორტის წარმოდგენა. მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლის, დავით ჭეიშვილის, განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დგინდება კამერების შესაბამისობა სტანდარტით გათვალისწინებულ ტექნიკურ მახასიათებლებთან.

1.6 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლის თქმით მასწავლებლებს მიეცათ სიტყვიერი შენიშვნა. ამასთან, დამატებით აღინიშნა, რომ ძირითადად მუშაობა მიმდინარეობს ელექტრონული ჟურნალის ფორმით.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, აღნიშნა რომ მისასალმებელია ელექტრონული ფორმით მუშაობა, ამასთან აუცილებელია ჟურნალის წარმოების წესების დაცვა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ხარვეზების სრულად გამოსწორებისათვის დაწესებულებისათვის 2 კვირიანი (10 სამუშაო დღე) ვადის განსაზღვრა.

საბჭომ მიმართა თხოვნით მონიტორინგის სამსახურს, რომ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ მომხდარიყო 1.1; 1.2; 1.3 და 1.5 შენიშვნების ხელახლა გადამოწმება.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ „სხივში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - „ჩალლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ „სხივში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 14 დღის ვადა.

16. შპს - არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლა არ ფლობს ელექტროენერგიის ალტერნატიულ წყაროს.

2012 1 მარტს ცენტრი შემოსული დაწესებულების №2/01 – 64 წერილისა (ცენტრში რეგისტრაციის №03-1780) და დოკუმენტების თანახმად, სკოლას საჩუქრად გადაეცა გენერატორი.

1.2 ბიბლიოთეკაში ზოგიერთ სახელმძღვანელოზე არ არის დაკრული ჯიბაკები.

1.3 სკოლას შენობის მხოლოდ პირველ სართულზე აქვს პანდუსები. აღსანიშნავია ის, რომ კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია განთავსებულია II და III სართულებზე. შესაბამისად, ვერ მოხდება სსსმ მოსწავლის გადაადგილება სასურველ ლაბორატორიებში, ასევე, სკოლას არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი (ხელის მოსაკიდი საყრდენი).

1.4 სკოლას აქვს 16 ვიდეოსამეთვალყურეო კამერა, აქედან 3 კამერა არ მუშაობდა. არ დასტურდება მათი ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობა „ზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან.

1.5 სკოლას არ გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.6 მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალები გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით, რა დროსაც დაფიქსირდა ჟურნალის არასწორი წარმოების ფაქტი. ჟურნალების გაკვეთილების ცხრილი შევსებულია მხოლოდ პირველი სემესტრისათვის, არ არის შეტანილი მეორე სემესტრის ცხრილი. მასწავლებლის მიერ აღნიშნული შენიშვნა არ აქვს სკოლის დირექტორს დამოწმებული.

წარმოდგენილია ფოტოსურათები, რომლიდანაც დგინდება, რომ კედლებზე გაკრულია ხანძრის შემთხვევაში მოქცევის წესები და ჯანმრთელობის დაცვის წესები. სხვა რაიმე დოკუმენტი სკოლას არ წარმოუდგენია.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით სკოლაში უკვე მოეწყო ადაპტირებული სველი წერტილი, ხოლო პანდუსები - დამზადების პროცესში იყო.

ვიდეოკამერებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა ერთიანობაში ფლობს 16 ერთეულ კამერას, რომელთაგანაც 13 დამონტაჟებულია. სკოლას ათვისებული არ აქვს მე-4 სართული, რომლის კეთილმოწყობასაც უახლოეს მომავალში გეგმავს, შესაბამისად, 3 კამერა დამონტაჟდება ბოლო სართულზე.

საბჭოს თავმჯდომარე ჩაეკითხა სკოლის დირექტორს კამერების მახასიათებლებზე. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, დოკუმენტაცია ინახება სკოლაში.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, სკოლაში აუცილებელია მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტი, რათა გადამოწმდეს 1.3 და 1.4 პუნქტებში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორების ფაქტი და შესაბამისი დოკუმენტაციის არსებობა. სკოლას აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებისათვის უნდა განსაზღვროდა 5 სამუშაო დღის ვადა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 5 დღის ვადა.

17. შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სსსმ მოსწავლეთათვის სკოლას აქვს პანდუსები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სსსმ მოსწავლის გადაადგილება შენობაში. თუმცა, დაწესებულებას სსსმ მოსწავლეთათვის არა აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

1.2 დაწესებულებას დაცვის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულება გაფორმებული აქვს კერძო ორგანიზაცია შპს - „ვიქტორია სექურიტთან“. წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაწესებულებას არ ჰყავს მანდატური.

1.3 სკოლას გაწერილი არა აქვს ხანმარსაწინააღმდეგო, სამედიცინო დახმარებისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები.

1.4 მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვისა და აკადემიური შეფასების ჟურნალები გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით, რა დროსაც დაფიქსირდა ჟურნალის არასწორი წარმოების რამდენიმე ფაქტი. მაგალითად: IV და XII კლასის სასკოლო ჟურნალში არ არის შესაბამისად შეჯამებული და დაშტრიხული შესაბამისი გრაფები.

1.5 სკოლის წიგნადი ფონდის რამდენიმე ეგზემპლარზე ბეჭედი არ არის დასმული.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნაზე დაწესებულების დირექტორმა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა ფოტომასალა, რომელიც ადასტურებდა, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლეთათვის დამონტაჟებული იყო ადაპტირებული სველი წერტილი.

1.2 შენიშვნაზე სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარს“ 2012 წლის 20 ივნისამდე ხელშეკრულება ჰქონდა დადებული დაცვის სამსახურთან. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მანდატურის სამსახური არის უსაფრთხო სკოლის კონცეფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, ამასთან, მანდატურის უნარ-ჩვევები მთლიანად ორიენტირებული და მორგებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკაზე და მისი ჩანაცვლება შეუძლებელია დაცვის სამსახურით. დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან უახლოეს პერიოდში გააფორმებდა ხელშეკრულებას.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა

„ლამპარის“ დირექტორის ბრძანება სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ.

1.4 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მასწავლებლებს, რომლებიც დარღვევებით აწარმოებდნენ სასკოლო ჟურნალებს, სკოლის დირექტორის მიერ გამოეცხადათ საყვედური.

1.5 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში არსებულ მხოლოდ რამოდენიმე წიგნზე არ იყო დასმული სასკოლო ბეჭედი.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ხარვეზების სრულად გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის 5 დღიანი ვადის განსაზღვრა, რათა დაწესებულებას წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ხელახალი გადამოწმება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 5 დღის ვადა.

18. შპს - სკოლა ჩირაღდანში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 563 მოსწავლით. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 187 მოსწავლე. სკოლაში არის 29 ინდივიდუალური და 90 ორადგილიანი მერხით. შესაბამისად, არსებული კონტიგენტის გათვალისწინებით დაწესებულებას დამატებით ესაჭიროება 68 მერხი, ხოლო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის უზრუნველსაყოფად - 444 ინდივიდუალური მერხი.

1.2 სკოლას აქვს ლაბორატორია, თუმცა ვიზუალური დათვალიერებით არ დასტურდება მისი შესაბამისობა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს №572 ბრძანებით განსაზღვრულ რეკომენდაციებთან.

2012 წლის 29 თებერვალს შპს - ჩირაღდანმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-1715), რომლის თანახმადაც, დაწესებულებამ 2012 წლის 22 თებერვალს შპს - „ინსტა-ჯორჯიასთან“ გააფორმა ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობაზე ნასყიდობის ხელშეკრულება. დაწესებულებამ 2012 წლის 24 თებერვალს გადაიხადა ლაბორატორიების ღირებულების 10%.

1.3 დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არა აქვს ელექტროენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

2012 წლის 29 თებერვალს შპს - ჩირაღდანმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-1715), რომლის თანახმადაც, დავით დარჩიამ სკოლას აჩუქა ელექტროენერგიის გენერატორი.

1.4 სკოლას სსსმ მოსწავლეთათვის აქვს პანდუსები, მაგრამ არა აქვს სათანადოდ მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილი.

2012 წლის 29 თებერვალს შპს - ჩირაღდანმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-1715), რომლის თანახმადაც, დაწესებულებას სსსმ მოსწავლეთათვის აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

1.5 დაწესებულებას არა აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

2012 წლის 29 თებერვალს შპს - ჩირაღდანმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-1715), რომლის თანახმადაც, დაწესებულებამ შეიმუშავა წესრიგისა და სამედიცინო დამხმარების უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.6 სკოლას გააჩნია 5 (ხუთი) უსაფრთხოების კამერა, აქედან 4 შიდა პერიმეტრზეა განთავსებული, ხოლო 1 გარე პერიმეტრზე. კამერები ჩართულია შიდა ქსელში და მიმდინარეობს ვიდეოჩაწერა. დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი გარე კამერის ტექნიკური მახასიათებლები.

2012 წლის 29 თებერვალს შპს - ჩირაღდანმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-1715), რომლის თანახმადაც, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კამერების სასაქონლო ზედანდები, რომელშიც არ იყო მოცემული კამერების ტექნიკური მახასიათებლები.

1.7 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ საკლასო ჟურნალებში, არ არის შეტანილი სხვა სკოლაში გადასული მოსწავლეების ამორიცხვის ბრძანების რეკვიზიტები და საკლასო ჟურნალში გაკეთებულ შენიშვნებზე არ არის სკოლის დირექტორის ხელმოწერები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში არსებული დოკუმენტაციით, დაწესებულების საკუთრებაშია 249 მერხი. სკოლაში 2012 წლის 2 მარტის მონაცემებით კი ირიცხება 187 მოსწავლე. შესაბამისად, მერხების რაოდენობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ნორმალურ განხორციელებას.

1.6 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლის მიერ მოხდა ახალი უსაფრთხოების კამერების შეძენა. სკოლის დირექტორმა წარმოადგინა უსაფრთხოების კამერების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მონიტორინგის ჯგუფის წევრმა დავით ჭიეშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად უსაფრთხოების კამერების პარამეტრები შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

1.7 შენიშვნასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მასწავლებლებს, რომლებიც დარღვევებით აწარმოებდნენ სასკოლო ჟურნალებს, სკოლის დირექტორის მიერ გამოეცხადათ საყვედური.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა ჩირაღდანის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - სკოლა ჩირაღდანის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრის ნინო ძოწენის განმარტებით, მან მხარი დაუჭირა დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხს, რადგანაც მიიჩნია, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა გამოსწორებული.

19. შპს - სკოლა-ლიცეუმ „ლაზარეში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2012 წლის 29 თებერვალს დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა №277 კორესპონდენცია, რომლის თანახმად მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები გამოსწორებულია, გარდა ორი ხარვეზისა, კერძოდ:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას არ გააჩნია სპორტული დარბაზი, სპორტის სახეობად არჩეული აქვთ მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. სპორტულ დარბაზად იყენებს სტანდარტული ზომის ოთახს, სადაც განთავსებულია ჩოგბურთის მაგიდები.

1.2 ვერ იქნა წარმოდგენილი გარე კამერის ტექნიკური მახასიათებლები. დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ კორესპონდენციას თან ახლდა გარე კამერის ტექნიკური პარამეტრების ამსახველი დოკუმენტაცია. მონიტორინგის ჯგუფის მიერ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მოცემული კამერა არ არის შესაბამისი სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, ივანე ალავიძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ ზემოაღნიშნულის გარდა, ყველა ხარვეზი გამოასწორა. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი, ივანე ალავიძე, დეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - სკოლა-ლიცეუმ „ლაზარეს“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ხარვეზების სრულად გამოსწორებისათვის დაწესებულებისათვის 2 კვირიანი (10 სამუშაო დღე) ვადის განსაზღვრა.

საბჭომ მიმართა თხოვნით მონიტორინგის სამსახურს, რომ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ მომხდარიყო 1.1 და 1.2 შენიშვნების ხელახლა გადამოწმება.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა-ლიცეუმ „ლაზარეში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - სკოლა-ლიცეუმ „ლაზარეში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 14 დღის ვადა.

20. შპს - მრავალდარგოვანი სამეცნიერო - ტექნიკური კომერციული ფირმა "გიჩი" კერძო სკოლა "ჯეჯილში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებზე, კერძოდ:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას აქვს ლაბორატორია. თანხა სრულად არის გადახდილი, თუმცა აღჭურვილობა არ არის განთავსებული ოთახში, ლაბორატორიის ინვენტარი მოთავსებულია სარდაფში მუყაოს ყუთებში.

ცენტრში 2012 წლის 1 მარტს შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენცია შესაბამისი დოკუმენტებით, რომლის მიხედვითაც სკოლა უახლოეს მომავალში აპირებს შენობის შეცვლას, კერძოდ, აბაშიძის №15-ში მდებარე №41 საჯარო სკოლაში გადასვლას (ფლობა დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით) და სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ლაბორატორიის აღჭურვილობის დასაწყობება.

1.2 სკოლის ბიბლიოთეკაში წიგნები დალაგებულია ანბანური სისტემით. წიგნების პირველ და მეჩვიდმეტე გვერდებზე არ არის ბეჭდები დასმული. ბიბლიოთეკას არ აქვს ანბანური საძიებო კატალოგი.

წერილით დგინდება, რომ სკოლამ დაამზადა სპეციალური ბეჭედი ბიბლიოთეკისათვის და დაიწყო წიგნების ბიბლიოგრაფიული წესით დამუშავება და ანბანური საძიებო კატალოგის წარმოება. წერილს თან ერთვის ერთ-ერთი წიგნის პირველი და მე-17 გვერდის ასლი, რომელიც ბეჭედდასმულია და ანბანური საძიებო კატალოგის ერთი გვერდის ასლი.

1.3 სკოლას აქვს კერძო სამართლის იურიდიული პირების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის განკუთვნილი 5 (ხუთი) უსაფრთხოების კამერა, მაგრამ არ დასტურდება მათი შესაბამისობა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან.

1.4 სკოლის პირველი შენობის არც ერთ სართულზე არ არის დამონტაჟებული ვიდეო კამერები.

მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შემდგომ, სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს - პროფემენ ტექნოლოჯთან, რომლის საგანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟება. სკოლის მიერ წარმოდგენილია საგადახდო დავალება და ორი ხელშეკრულა, რომელთა თანახმადაც სკოლის ახალ შენობაში

მოხდება კამერის დემონტაჟი და 6 ახალი კამერის დამონტაჟება, აგრეთვე, 2 კამერის დამონტაჟება, რომელიც შესაბამისობაშია ბრძანებით დათვალისწინებულ პარამეტრებთან.

1.5 სკოლას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

წარმოდგენილია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურა.

1.6 მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვისა და აკადემიური შეფასების ჟურნალები გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით, რა დროსაც დაფიქსირდა ჟურნალის არასწორი წარმოების ფაქტი. XII კლასის სასკოლო ჟურნალის გაკვეთილების ცხრილი შევსებულია მხოლოდ პირველი სემესტრისთვის, არ არის შევსებული მეორე სემესტრის ცხრილი. მასწავლებლის მიერ დაფიქსირებული შენიშვნა სკოლის დირექტორს არ აქვს ხელმოწერით დამოწმებული.

სკოლამ წარმოადგინა ჟურნალის გვერდების ასლები და წერილში მიუთითებს, რომ შეტანილია მეორე სემესტრის ცხრილი და დირექტორის ხელმოწერით დამოწმდა მასწავლებელთა მიერ დაფიქსირებული შენიშვნები.

წერილით დგინდება, რომ მასწავლებელს მიეცა შენიშვნა, მაგრამ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლას არ წარმოუდგენია.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მონიტორინგის ჯგუფს, ფლობდა თუ არა სკოლა ლაბორატორიას.

ივანე ალავიძის განცხადებით, ლაბორატორია სკოლის მართლზომიერ მფლობელობაშია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, ივანე ალავიძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოსასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, ივანე ალავიძემ, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - მრავალდარგოვანი სამეცნიერო - ტექნიკური კომერციული ფირმა "გიჩი" კერძო სკოლა "ჯეჯილში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მრავალდარგოვანი სამეცნიერო - ტექნიკური კომერციული ფირმა "გიჩი" კერძო სკოლა "ჯეჯილის" ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - მრავალდარგოვანი სამეცნიერო - ტექნიკური კომერციული ფირმა "გიჩი" კერძო სკოლა "ჯეჯილის" ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

21. შპს - არძანში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებზე, კერძოდ:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლის ბიბლიოთეკაში არ არის სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული გრიფირებული სახელმძღვანელოები. არ აქვთ საინვენტარიზაციო წიგნი, თუმცა სკოლას შეძენილი აქვს საბიბლიოთეკო ელექტრონული კატალოგი "Open Biblio", რომელშიც ხდება წიგნების ინვენტარიზაცია. წიგნები თაროებზე დალაგებულია თემატურად. წიგნებში არ არის ჩალაგებული კეტერები, კეტერების მაგივრად არის მცირე ზომის ფურცელზე დაწერილი ინფორმაცია წიგნის დასახელებისა და ავტორის/ავტორების შესახებ. წიგნები მხოლოდ პირველ გვერდზეა დანონმრილი. ბეჭედი არ არის დასმული. არ არის ანბანური საძიებო კატალოგი.

წარმოდგენილია საგადახდო დავალება სახელმძღვანელოების შესყიდვის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელს შენიშვნის არსი.

მიხეილ ტეფნაძის განცხადებით, სკოლამ, ვიზიტის დროს, სათანადო წესით ვერ დაადასტურა წიგნების ფლობა, ამასთანავე, დოკუმენტურად ვერ იქნა ნაჩვენები, გატანილი ჰქონდა თუ არა მოსწავლეებს აღნიშნული წიგნები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მონიტორინგის ჯგუფის წევრს, აუცილებელი იყო თუ არა ბეჭდური კატალოგის არსებობა.

მიხეილ ტეფნაძის განცხადებით, სკოლაში, ამჟამად, მუშავდება ელექტრონული კატალოგი, თუმცა მანამდე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ბეჭდური ვერსია.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში აუცილებლად დაიდება ბეჭდური ვერსიაც. მისი განცხადებით, წიგნები უკვე დამუშავებულია და მე-17 გვერდზეც არის ბეჭედდასმული.

სკოლის დირექტორმა საბჭოს დამატებით წარუდგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, ივანე ალავიძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, ივანე ალავიძემ, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - არძანში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არძანის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - არძანის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

22. შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას აქვს ლაბორატორია. სკოლის ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა ინვენტარის სრული ჩამონათვალი. ვიზუალური დათვალიერებით არ დასტურდება მისი შესაბამისობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს №572 ბრძანებით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსების პარამეტრებთან.

1.2 სკოლის ბიბლიოთეკაში არ არის სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული გრიფირებული სახელმძღვანელოების გარკვეული რაოდენობა. ბიბლიოთეკაში ვერ მოიძებნა IX კლასის სასწავლო სახელმძღვანელოები: საქართველოს ისტორიაში, გეოგრაფიაში, მუსიკასა და ფიზიკაში. ბიბლიოთეკას არ აქვს დებულება.

1.3 სკოლას არ აქვს ადაპტირებული სველ წერილი სსსმ მოსწავლეთათვის (ხელის მოსაჭიდი საყრდენი).

1.4 სკოლას აქვს 16 ვიდეო კამერა, აქედან 2 დამონტაჟებულია გარე პერიმეტრზე, თუმცა არ დასტურდება ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობა „ზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესებთან.

1.5 სკოლას არ გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.6 მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალები გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით, რა დროსაც დაფიქსირდა ჟურნალის არასწორი წარმოების ფაქტი. კერძოდ, VIII კლასის სასკოლო ჟურნალში საგანი - ქართული ენა და ლიტერატურა არ არის შესაბამისი გრაფები შესაბამისი წესით დაშტრიხული. VII კლასის ჟურნალში არ არის დაფიქსირებული საგნები და მიმდინარე შეფასებები შეტანილია ფანქრით. აქვე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სკოლის ერთ კლასში მოქმედებს ორი ჟურნალი, ერთი ქართულენოვანი საგნობრივი სწავლებისათვის და მეორე ინგლისურენოვანი საგნების სწავლებისათვის. ჟურნალებში საგნები შეტანილია იმის მიხედვით, თუ რა ენაზე ისწავლება საგანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა დოკუმენტაცია ლაბორატორიის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09

ავგისტოს №572 ბრძანებით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსების პარამეტრებთან შესაბამისობის შესახებ.

საბჭომ აღნიშნული ხარვეზი მოხსნა.

ბიბლიოთეკასთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინა დღით მოხდა ბიბლიოთეკისათვის ოთახის შეცვლა და აღნიშნული გაუგებრობა ამ მიზეზით იყო გამოწვეული. წარმოდგენილი იქნა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებთან დაკავშირებული ყველა სათანადო დოკუმენტაცია, ხოლო ჟურნალის წარმოების წესის დარღვევასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მასწავლებლებს გამოეცხადათ შენიშვნები.

მონიტორინგის ჯგუფმა საბჭოს სხდომის ფარგლებში შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, ივანე ალავიძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, ივანე ალავიძემ, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

23. შპს - მწიგნობარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2012 წლის 29 თებერვალს დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა №8/1 კორესპონდენცია, რომლის თანახმად მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები გამოსწორებულია, გარდა ერთი ხარვეზისა, კერძოდ:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალები გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით, რა დროსაც დაფიქსირდა ჟურნალის არასწორი წარმოების ფაქტი. III კლასის სასკოლო ჟურნალში საგანი ქართული ენა და ლიტერატურა არ არის შესაბამისი ფორმით დაჯამებული და ცარიელი გრაფები დაშტრიხული. გაკვეთილების ცხრილი შეტანილია მხოლოდ ერთი სემესტრისათვის, არ არის მეორე სემესტრის ცხრილი შეტანილი. საგანთა და სახელმძღვანელოთა ჩამონათვალში არ არია მითითებული რომელი საგანი ჟურნალის რომელ გვერდებზეა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ხარვეზი გამოსწორებულ იქნა, ხოლო ამ ფაქტის ამსახველი ფოტო-მასალა თან ერთვოდა ცენტრში წარმოდგენილ კორესპონდენციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, ივანე ალავიძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ წარმოდგენილი ფოტო-მასალის მიხედვით დაწესებულებამ გამოასწორა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, ივანე ალავიძემ, აღნიშნა, რომ ფოტო-მასალა მართლაც იყო წარმოდგენილი, თუმცა დაწესებულებას არ მიუძღვრებოდა ისეთი ზომებისათვის, რაც გამოიხატებოდა პასუხისმგებელი პირისადმი საყვედურის გამოცხადებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ სკოლაში ჟურნალის წარმოების წესი დაცულია, ეს უნდა ჩაითვალოს ხარვეზის რეალურ გამოსწორებად, ხოლო საყვედურისა თუ სხვა დისციპლინური სასჯელის დაკისრების საკითხს თავად დაწესებულება წყვეტს.

საბჭომ განიხილა შპს - მწიგნობარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მწიგნობარის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - მწიგნობარის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

24. შპს - მნათობში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას აქვს ლაბორატორიის აღჭურვილობა, თუმცა ვიზუალური დათვალიერებით არ დასტურდება მისი შესაბამისობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს №572 ბრძანებით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსების პარამეტრებთან.

2012 წლის პირველ მარტს შპს - მნათობმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-1775), რომლის თანახმადაც, დაწესებულებამ 2012 წლის 24 თებერვალს შპს - „ინსტა-ჯორჯიასთან“ გააფორმა ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობაზე ნასყიდობის ხელშეკრულება. შპს - მნათობმა გადაიხადა 3 200 ლარი. ხელშეკრულების თანახმად, მყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში გამყიდველისთვის უნდა გადაერიცხა 4600 ლარი.

1.2 გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არა აქვს ელექტროენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

2012 წლის პირველ მარტს შპს - მნათობმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-1775), რომლის თანახმადაც, დაწესებულებამ გურამ ცხოვრებაშვილისგან ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო გენერატორი.

1.3 სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნები არ არის შესაბამისი ფორმით აღრიცხული. დაწესებულებას არა აქვს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის წიგნი, ანბანური საძიებო კატალოგი და ბიბლიოთეკის დებულება. წიგნებზე არ არის დამაგრებული ჯიბაკები და კეტერები. შესაბამის გვერდებზე არ არის დაფიქსირებული წიგნის ნომერი და დასმული ბეჭედი.

2012 წლის პირველ მარტს შპს - მნათობმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-1775), რომლის თანახმადაც, სკოლის დირექტორმა 2012 წლის 27 თებერვალს დაამტკიცა შპს - მნათობის ბიბლიოთეკის დებულება.

1.4 სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული 13 კომპიუტერიდან მხოლოდ 1 მათგანია ჩართული ინტერნეტში.

1.5 დაწესებულების საკუთრებაშია 3 ვიდეოკამერა, რომელთაგანაც ერთი მათგანი დამონტაჟებულია გარე პერიმეტრზე, ორი კი - შიდაზე. ვიდეო კამერების აღნიშნული რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს სკოლის შიდა პერიმეტრის სრულ კონტროლს.

2012 წლის პირველ მარტს შპს - მნათობმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-1775), რომლის თანახმადაც, დაწესებულებამ 2012 წლის 22

თებერვალს შპს - „პროფემენ ტექნოლოჯთან“ დადო ნასყიდობის ხელშეკრულება დამატებით 1 ვიდეოკამერის შეძენის თაობაზე. ვიდეოკამერის საერთო ღირებულებას შეადგენს 2 250 ლარი. შპს - მნათობს 2012 წლის 25 თებერვალის მდგომარეობით გადახდილი აქვს 495 ლარი.

1.6 დაწესებულებას გაწერილი არა აქვს ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო დახმარებისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები.

2012 წლის პირველ მარტს შპს - მნათობმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-1775), რომლის თანახმადაც, დაწესებულებამ შეიმუშავა ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო დახმარებისა მექანიზმები.

1.7 მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვისა და აკადემიური შეფასების ჟურნალები გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით, რა დროსაც დაფიქსირდა ჟურნალის არასწორი წარმოების ფაქტები. მაგალითად: XII კლასის სასკოლო ჟურნალის გაკვეთილების ცხრილი არ არის შევსებული, საგანთა და სახელმძღვანელოთა ჩამონათვალი არასრულადაა შევსებული, სკოლის დირექტორს არ აქვს დამოწმებული მასწავლებლის მიერ დაფიქსირებული შენიშვნა. II და VIII კლასის ჟურნალში გაკვეთილების ცხრილი შევსებულია მხოლოდ პირველი სემესტრისათვის, არ არის შევსებული II სემესტრი, არ არის შესაბამისად შეჯამებული და დაშტრიხული შესაბამისი გრაფები.

1.8 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 160 მოსწავლით. დაწესებულებაში ვიზიტის დროს იყო 71 ორადგილიანი მერხი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.3 და 1.4 შენიშვნებთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ მოცემული ხარვეზები იყო გამოსწორებული. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა შესაბამისი ფოტომასალა.

1.7 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მასწავლებლებს, რომლებიც დარღვევებით აწარმოებდნენ სასკოლო ჟურნალებს, სკოლის დირექტორის მიერ გამოეცხადათ საყვედური.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ხარვეზების სრულად გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის 14 დღიანი ვადის განსაზღვრა, რათა დაწესებულებას წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ხელახალი გადამოწმება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მნათობში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - მნათობში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 14 დღის ვადა.

25. შპს - ოაზისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას აქვს ლაბორატორიის გარკვეული რაოდენობის ინვენტარი, რომელიც განთავსებული არ არის საკლასო ოთახში, არამედ ყუთებში. დაწესებულებას შპს - „ჯეო დეკორისთვის“ ლაბორატორიის ღირებულება სრულად აქვს გადახდილი.

1.2 გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არა აქვს ელექტროენერჯის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

1.3 სკოლასა შემუშავებული არა აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ანბანური საძიებო კატალოგი. ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების გვერდებზე არ არის დასმული სკოლის ბეჭედი და არ არის მინიჭებული შესაბამისი ნომერი.

1.4 სსსმ მოსწავლეთათვის სკოლის შენობის კიბეებზე პანდუსებით გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ პირველ და მეორე სართულზე. პანდუსები არ არის დამონტაჟებული მესამე და მეოთხე სართულებზე ასავლელ კიბეებზე. დაწესებულებას არა აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

1.5 სკოლას არა აქვს სამედიცინო ოთახი, თუმცა აქვს სხვადასხვა სახის პირველადი დახმარების მედიკამენტები.

1.6 სკოლას აქვს მხოლოდ 4 უსაფრთხოების კამერა. აქედან 3 მათგანი შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. აღნიშნული რაოდენობის კამერები ვერ უზრუნველყოფენ სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრის სრულ კონტროლს.

1.7 სკოლას შემუშავებული არა აქვს ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები.

1.8 სკოლას აქვს გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და მოკლევადიანი განვითარების გეგმები, თუმცა სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილი გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2009-2015 სასწავლო წლებს.

1.9 მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვისა და აკადემიური შეფასების ჟურნალები გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით, რა დროსაც დაფიქსირდა ჟურნალის არასწორი წარმოების ფაქტი. X კლასის სასკოლო ჟურნალში არ არის შევსებული მეორე სემესტრის გაკვეთილების ცხრილი, შესაბამისად არ არის შეჯამებული და დაშტრიხული შესაბამისი გრაფები.

1.10 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 350 მოსწავლით. დაწესებულებაში ვიზიტის დროს იყო 214 მერხი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის ადგილზე შესწავლის შედეგად მონიტორინგის სამსახურმა გამოსწორებულად ჩათვალა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში მოცემული 1.1 და 1.2 შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებსა და ელექტროენერჯის მიწოდების ალტერნატიულ წყაროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ მიერ მოხდა სკოლის ბიბლიოთეკის დებულების შემუშავება და შესაბამისად, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული 1.3 შენიშვნა იყო გამოსწორებული. აღნიშნული ასევე დაადასტურა მონიტორინგის სამსახურმა.

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა სსსმ მოსწავლეთათვის დამონტაჟებული ადაპტირებული სველი წერტილის ამსახველი ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა შესაძლებელი იყო თუ არა სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. მონიტორინგის ჯგუფის წევრმა მიხეილ ტეფნაძემ განმარტა, რომ შპს - ოაზისში შესაძლებელი იყო პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

1.6 შენიშვნაზე სკოლის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა უსაფრთხოების კამერების შეძენისა და დამონტაჟების დოკუმენტაცია. მონიტორინგის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმების შედეგად აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულად ჩაითვალა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმების შედეგად მონიტორინგის სამსახურმა დაადგინა, რომ 1.7 და 1.8 შენიშვნები იყო გამოსწორებული.

1.9 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ იმ მასწავლებლებს, რომლებიც არასწორად აწარმოებდნენ სასკოლო ჟურნალებს, გამოუცხადეს საყვედური.

1.10 შენიშვნაზე სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ დამატებით სკოლას დასაწყობებული ჰქონდა 140 მერხი. შესაბამისად, დაწესებულებას ჯამში ჰქონდა 354 მერხი. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლის დირექტორმა წარმოადგინა სასკოლო მერხების მიღება-ჩაბარების აქტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ოაზისის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ოაზისის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

26. შპს - სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ სკოლა „ბინულში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას არ აქვს გენერატორი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის.

1.2 სკოლას არ აქვს სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილი.

1.3 სკოლას არ აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები.

1.4 მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვისა და აკადემიური შეფასების ჟურნალები გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით, რა დროსაც დაფიქსირდა ჟურნალის არასწორი წარმოების ფაქტი. მაგალითად: I და XII კლასის სასკოლო ჟურნალში არ არის შევსებული მეორე სემესტრის გაკვეთილების ცხრილი, არასრულადაა შევსებული საგანთა და სახელმძღვანელოთა ჩამონათვალი, შესაბამისად არ არის ჩამოჯამებული და დაშტრიხული შესაბამისი გრაფები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ყველა ხარვეზი გამოსწორებულია, კერძოდ, 1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლამ შეიძინა გენერატორი, 1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით მოაწყო ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეთათვის, 1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს არსებობდა კედელზე გამოკრული სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, რომლებიც ამ ეტაპზე უკვე არსებობს სკოლაში დოკუმენტის სახით; ხოლო 1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით მოხდა ჟურნალის წარმოების წესების დაცვით ყველა შენიშვნის გათვალისწინება. ზემოაღნიშნულის დამადასტურებელი მასალა დაწესებულების წარმომადგენელმა ზეპირ მოსმენაზე გადასცა მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, ივანე ალავიძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, ივანე ალავიძემ, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ სკოლა „ბინულში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სკოლა „ბინულის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სკოლა „ბინულის“ ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

27. შპს - დათაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლა მდებარეობს ქ. თბილისში, მარგინის ქ.№1. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნულ ფართზე ვერ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

1.2 სკოლა შენობის დიდ ოთახს (მანსარდა) იყენებს სპორტის გაკვეთილისთვის.

1.3 სკოლას აქვს ლაბორატორიის გარკვეული ინვენტარი, თუმცა ჯგუფის ვიზიტისას იმის გამო, რომ არ იყო შესაბამისი ფორმით განთავსებული საკლასო ოთახში და არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი ლაბორატორიის აღწერილობის შესახებ, ვერ დადგინდა მისი შესაბამისობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს №572 ბრძანებით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსების პარამეტრებთან.

1.4 გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არა აქვს ელექტროენერჯის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

1.5 ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გარკვეულ ერთეულებზე არ არის მინიჭებული ნომერი და დასმული ბეჭედი. შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სასწავლო სახელმძღვანელოები, რა დროსაც ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა: X კლასის მათემატიკა და IX კლასის ქართული ენის სახელმძღვანელო. სკოლის დირექტორის განმარტებით აღნიშნული სახელმძღვანელოები გატანილია მოსწავლეების მიერ, თუმცა აღნიშნული ფაქტი არ დადასტურდა მოსწავლეთა ფორმულარებით.

1.6 სსსმ მოსწავლეთათვის სკოლას არა აქვს პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილი.

1.7 სკოლას აქვს 4 ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერი. სკოლის ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას.

1.8 მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას სკოლაში არ იყო დამონტაჟებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერები.

1.9 სკოლას არა აქვს ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები.

1.10 მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვისა და აკადემიური შეფასების ჟურნალები გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით, რა დროსაც დაფიქსირდა ჟურნალის არასწორი წარმოების ფაქტი. მაგალითად: XI კლასის სასკოლო ჟურნალში მასწავლებლის მიერ დაფიქსირებული შენიშვნა დირექტორის მიერ არ არის შესაბამისი ფორმით დამოწმებული.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - დათას დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმადაც სკოლა ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 160.15 კვ.მ. ფართს.

1.2 შენიშვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას სპორტის გაკვეთილად არჩეული ჰქონდა საბრძოლო ხელოვნება. სკოლას დამატებით სპორტულ დარბაზთან ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა ესარგებლათ აღნიშნული სპორტული დარბაზით. მოცემული ინფორმაცია დაადასტურა მონიტორინგის სამსახურმა.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შპს - ინსტა-ჯორჯიასთან ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორიების თაობაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება. დოკუმენტაციის ადგილზე შემოწმების შედეგად, მონიტორინგის სამსახურმა მოცემული შენიშვნა მოხსნა.

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას ელექტროენერჯის მიწოდების ალტერნატიული წყარო ჰქონდა შეძენილი.

1.6 შენიშვნაზე სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სსსმ მოსწავლეთათვის სკოლა უახლოეს მომავალში დაამონტაჟებდა ადაპტირებულ გარემოს.

1.8 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული შპს - ჯესკო ჯგუფთან უსაფრთხოების კამერების შექმნისა და დამონტაჟების თაობაზე.

1.9 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

1.10 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მასწავლებლებს, რომლებიც დარღვევებით აწარმოებდნენ სასკოლო ჟურნალებს, სკოლის დირექტორის მიერ გამოეცხადათ საყვედური.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ხარვეზების სრულად გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის 14 დღიანი ვადის განსაზღვრა, რათა დაწესებულებას წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ხელახალი გადამოწმება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დათაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - დათაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 14 დღის ვადა.

28. შპს - „თამარიონში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2012 წლის 1 მარტს დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა №66 კორესპონდენცია, რომლის თანახმად მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორებულ იქნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, ივანე ალავიძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, ივანე ალავიძემ, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - „თამარიონში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „თამარიონის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - „თამარიონის“ ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:13 საათზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

ანა კლდიაშვილი
მდივანი